ქ. თბილისი 21 მარტი, 2022 წელი

საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

შპს „იბეროილი"-ს მიერ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ივანე იუმაშევის ქუჩის მიმდებარედ, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ შპს „იბეროილი"-ს განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით დამატებით წარმოგიდგენთ დაზუსტებულ ინფორმაციას თანმიმდევრულად, თქვენი 2022 წლის 23 თებერვლის № 1719/01 წერილში მოცემული შენიშვნების შესაბამისად. კერძოდ:

1. სკოპინგის პროცედურის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის დათვალიერებისას და შემდგომ უკვე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები. კერძოდ, შესრულებული იყო მიწის სამუშაოები და ტერიტორიაზე იმყოფებოდა სამშენებლო ტექნიკა.

აღნიშნულის თაობაზე გაცნობებთ, რომ შპს ,,იბეროილი"-ს 7000 $მ^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საწყობის ახლად მშენებარე ესტაკადაზე ნავთობპროდუქტებით დატვირთული ვაგონ-ცისტერნების მომსახურების მიზნით ასევე დაგეგმილია რკინიგზის სადგურ "ლილოს" მიმდებარედ სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მშენებლობა.

ინფორმაცია სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მოწყობის შესახებ, საპროექტო პარამეტრების მითითებით წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფში 4.3.1 და გზშ-ს ანგარიშის დანართში 13.13, ხოლო აღნიშნული ობიექტის მშენებლობაზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური"-ს მიერ 2021 წლის 19 ოქტომბრის №5639683 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვა წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშის დანართში 13.14.

აღნიშნული მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშის დანართში 13.13. შესაბამისად სკოპინგის პროცედურის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერებისას გამოვლინდა მოცემული სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მოწყობის სამუშაოები. კერძოდ, მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობისა და ლიანდაგის ზედა ნაშენის დაგებისა და დაბალასტების სამუშაოები, შესაბამისად ტერიტორიაზე იმყოფებოდა სამშენებლო ტექნიკა.

2. გზშ-ის ანგარიშში „საწარმოო-სანიაღვრე წყლების გაწმენდისას მიღებული შედეგების" ცხრილი (№4.4.2.7.3.1) და გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური პასპორტი (დანართი №13.2) წარმოდგენილი იყო რუსულ ენაზე. ვინაიდან საქართველოში ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ქართული, ამიტომ წინამდებარე წერილზე თანდართულ გზშ-ის ანგარიშში მოცემული „საწარმოო-სანიაღვრე წყლების გაწმენდისას მიღებული შედეგების" ცხრილი (№4.4.2.7.3.1) და გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური პასპორტი (დანართი №13.2) ითარგმნა და წარმოდგენილია ქართულ ენაზე;

3. ინფორმაცია სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მოწყობის შესახებ, საპროექტო პარამეტრების მითითებით წარმოდგენილია წინამდებარე წერილზე თანდართულ გზშ-ის ანგარიშის პარაგრაფში 4.3.1

№ 6274
"21" 03 2022
2/4/60

და გზშ-ს ანგარიშის დანართში 13.13, ხოლო აღნიშნული ობიექტის მშენებლობაზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“-ს მიერ 2021 წლის 19 ოქტომბრის №5639683 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვა წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშის დანართში 13.14.

4. რკინიგზის ჩიხის მოწყობა გათვალისწინებულია 01.19.14.001.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ამასთან აღნიშნული მიწის ნაკვეთსა და საპროექტო ტერიტორიას შორის მდებარეობს, შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული მაგისტრალური არხი, ამიტომ წინამდებარე წერილზე თანდართულ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნა შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების შესახებ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2021 წლის 13 ოქტომბრის № გ-3183 წერილი (გზშ-ის ანგარიშში დანართი №13.3);

5. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სარეზერვუარო პარკში საავიაციო საწვავი TS-ისთვის გათვალისწინებულია ერთი 1000 $მ^3$ და ერთი 2000 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი. ხოლო გზშ-ის ანგრიშში (გვ.145) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (გვ.28) მითითებული იყო, რომ სარეზერვუარო პარკი საავიაციო საწვავი TS-ისთვის შედგება 2 ცალი (V=2000 $მ^3$-1 ც, V=2000 $მ^3$-1 ც) რეზერვუარისაგან, რაც ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა. ამიტომ მოცემული ტექნიკური ხარვეზი გასწორდა და წინამდებარე წერილზე თანდართულ გზშ-ის ანგარიშში (გვ.145) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (გვ.28) წარმოდგენილია დაზუსტებული ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ თქვენი 2022 წლის 23 თებერვლის № 1719/01 წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”-ს კანონმდებლობით დადგენილ განახლებულ სრულყოფილ დოკუმენტაციას, რათა განაახლოთ შპს „იბეროილი“-ს მიერ დაგეგმილი ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ივანე იუმაშევის ქუჩა, №13ე-ში ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით შეწყვეტილი ადმინისტრაციულ წარმოება.

დანართი:
1. გარემოზე ზემოქმედების შფასების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზ.დ.გ.) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

მიხეილ ნიკოლეიშვილი

შპს „იბეროილი“-ს დირექტორი

იბეროილი * IBEROIL LLC * 406079586